



ინტერვიუ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან, ქალბატონ ნათია თურნავასთან



ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

უკვე 9 თვეა მსოფლიო ებრძვის უხილავ მტერს - კორონა ვირუსს, რომელმაც მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა მსოფლიო მასშტაბით და ჯერაც არავინ იცის, კიდევ რამდენს შეინირავს. საქართველოშიც არ მიდის მსხვერპლის გარეშე პანდემიასთან ბრძოლა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობს. ყოველი შემთხვევისთვის, სექტემბრამდე ნამდვილად მონინავე ქვეყანების რიცხვში ვიყავით. პანდემიასთან ბრძოლა არ არის მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის პრობლემა. ყველაფრის ბაზისი მაინც ეკონომიკაა, საბოლოო ჯამში, ეკონომიკა ნყვეტს, შევძლებთ თუ არა პრობლემების გამკლავებას. თუ რა მდგომარეობა გვაქვს საქართველოს მასშტაბით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რა გაკეთდა პანდემიის დაწყებიდან დღემდე, და რა გეგმები აქვს ჩვენს ხელისუფლებას პოსტ-პანდემიის პერიოდში, ამ თემებზე გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან, ქალბატონ ნათია თურნავასთან.

გვინდა ჩვენს მკითხველს შევასხენოთ, რომ ქალბატონი ნათია გახლავთ ეკონომიკის დოქტორი, რომელსაც როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. ამიტომაც მისი ხედვები ორმაგად საინტერესოა.

- ქალბატონო ნათია, თებერვალ-მარტიდან მოყოლებული COVID-19, იგივე „კორონა ვირუსი“, დიდი საფრთხე გახდა მსოფლიოსათვის, ამიტომაც გამოცხადდა ის პანდემიად. ზუსტ პასუხს ვერავენ იძლევა მსოფლიოში, თუ რამდენი ხანი გაგრძელდება პანდემია. ამასთან, ვირუსმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკაზე და მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზე. ჩვენი პირველი კითხვა ასეთია: რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური მიმართულებით, როცა კორონა ვირუსი - COVID-19 გაჩნდა და რა პრობლემები გამოიკვეთა?

- პანდემიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გამოწვევები დადგა ქვეყანის ეკონომიკის წინაშე. პირველ რიგში მთავარი გამოწვევა თავად ვირუსთან ბრძოლა და მოქალაქეების ჯანმრთელობის უზრუნველყოფაა, ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ეკონომიკური პრობლემები, რის წინაშეც აღმოჩნდა ბიზნესი, და რაც ასევე აისახა მოსახლეობაზე.

პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა ტურიზმის სექტორი, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა

როგორც ეკონომიკური ზრდის, ასევე დასაქმების ზრდის მიმართულებით.

მოთხოვნის შესუსტებასთან ერთად, კორონავირუსთან დაკავშირებულმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა შოკმა, გავლენა იქონია მიწოდების მხარეზე, კერძოდ დაირღვა გლობალური მიწოდების ჯაჭვი, რამაც ბიზნესს შეუქმნა პრობლემები შუალედური საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო თვეებში ეკონომიკის მნიშვნელოვანი გაჯანსაღების ტენდენციები ვლინდება როგორც შიდა მოთხოვნის, ასევე ექსპორტის და ფულადი გზავნილების მიმართულებით და შემცირდა ინფლაციის დონეც.

- საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან დაახლოებით 1-2 კვირაში, თქვენ, როგორც ეკონომიკის მინისტრმა, ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის ახლებური - შექმნილი მდგომარეობის შესამაბობის გეგმა წარადგინეთ. მთავარი მიმართულებები კიდევ ერთხელ შევასხენოთ ჩვენს მკითხველს ამ გეგმიდან.

- საქართველოს მთავრობამ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყო კერძო სექტორზე უარყოფითი გავლენის



შერბილების და გაჯანსაღების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის საწყის ეტაპზე მოხდა ყველაზე მეტად დაზარალებული და მონყვლადი ეკონომიკის სექტორებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მხარდაჭერა და ოპერატიულად განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები.

ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის საწყის ეტაპზე, კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებს, სახელმწიფომ მისცა შესაძლებლობა მარტივი წესის პერიოდის საშემოსავლო გადასახადი და ქონების გადასახადი გადაევადებინათ 1-ელ ნოემბრამდე, რითაც მათ გამოუთავისუფლდათ დაახლოებით 100 მლნ ლარის რესურსი.

ამასთან, შემუშავებულ იქნა სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომლის საშუალებითაც 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროები მთელი საქართველოს მასშტაბით მიიღებენ საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას.

მენარმე-სუბიექტებს მიეცათ სესხების რესტრუქტურისა და შესაძლებლობა. ეროვნულმა ბანკმა რეგულაციების შემსუბუქების თვალსაზრისით ხელი შეუწყო აღნიშნულ პროცესს და ბანკებს მისცა რესტრუქტურისა და შესაძლებლობა. შესაბამისად იმ ბიზნესებს, რომლებსაც კრიზისულ პერიოდში სესხის მომსახურება მნიშვნელოვან ტვირთად დაანვა კომერციულმა ბანკებმა ინდივიდუალურად გაუკეთეს სესხების რესტრუქტურისა და შესაძლებლობა.

მოსახლეობაზე ვირუსთან დაკავშირებული უარყოფითი გავლენის შედეგად კურსის გაუფასურებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების შერბილების მიზნით განხორციელდა სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც ხელი შეუწყო პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნებას.

მთავრობის გადანყვეტილებით 3 თვის განმავლობაში განხორციელდა კომუნალური გადასახადების სუბსიდირება, იმ აბონენტებისთვის, ვინც მოიხმარს 200 კილოვატზე ნაკლებ ელექტროენერჯიას და 200 მ3-ზე ნაკლებ ბუნებრივ აირს. დაფინანსება აგრეთვე მოიცავდა დასუფთავების და წყლის გადასახადსაც.

ამასთანავე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ თავიდანვე გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები მოთხოვნადი და დეფიციტური იმპორტირებული პროდუქტების ჩანაცვლებისა და ადგილობრივი წარმოების მიმართულებით, მათ შორისაა პირბადეების, სადეზინფექციო ხსნარების, სპეცტანსაცმლისა და სახვადსხვა საკვები პრო-

დუქტების წარმოება.

ბიზნესის მხარდაჭერის და შესაბამისად სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით, კომპანიები, რომლებიც კრიზისის მიუხედავად, თუნდაც შემცირებული მოცულობით შეუნარჩუნებენ ხელფასებს საკუთარ თანამშრომლებს, მიიღებენ საშემოსავლო გადასახადისგან ნაწილობრივ შეღავათს, კერძოდ 1500 ლარამდე ხელფასის მქონე თანამშრომლებზე საშემოსავლო გადასახადისგან შეღავათს 750 ლარზე.

შესაბამისი დახმარება იქნა გათვალისწინებული დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომელთაც დაკარგეს სამსახური, თვითდასაქმებულებისთვის და სოციალურად მონყვლადი ჯგუფებისთვის.

საკმაოდ ყოვლისმომცველი ანტიკრიზისული ეკონომიკის მხარდაჭერის პაკეტის შემდგომ შემუშავებულ იქნა მრავალი ღონისძიება პოსტკრიზისული ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობისთვის. პოსტკრიზისული ეკონომიკის მხარდაჭერის პაკეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებას.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა კერძო სექტორის მხარდაჭერაზე მიმართული ისეთი სახელმწიფო პროგრამების პირობების დიზაინის ცვლილება, როგორცაა პროგრამა „წარმოე საქართველოში“, საკრედიტო საგარანტიო სექტორი და მიკრო და მცირე გრანტების პროგრამა. აღნიშნული პროგრამების დიზაინის ცვლილება უზრუნველყოფს მათ ორიენტირებულობას პანდემიით დაზარალებულ, ყველაზე მონყვლად სექტორებსა და ბიზნეს სუბიექტებზე და ამასთან, ხელს შეუწყობს პოსტკრიზისულ გაჯანსაღების პროცესს, რამდენადაც მეტი აქცენტი კეთდება სწრაფი გაჯანსაღების პოტენციალის მქონე მიმართულებებზე.

სახელმწიფო პროგრამების აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს საბაზრო ძალებით, საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრით, და რაც მთავარია, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების გზით ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების პროცესს, შეზღუდული რესურსების შესაბამისად, ეფექტიანი და მიზნობრივი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას და ეკონომიკური აქტივობის გასაზრდელად შესაბამისი მყარი საფუძველის ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ პოსტკრიზისული ღონისძიებები, ასევე, უზრუნველყოფს კრიზისის შედეგად და გლობალური ცვლილებებიდან გამომდინარე წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების გამოყენებას. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან ინვესტიციების დივერსიფიკაციის ტენდენციის

ეფექტიანი გამოყენება, ამ თვალსაზრისით საქართველოს უპირატესობების სრული კაპიტალიზაცია და ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება.

აღნიშნულთან ერთად სპეციალური მხარდაჭერის პაკეტი შექმნილი იქნა სოფლის მეურეობის, ტურიზმისა და დეველოპერულ/სამშენებლო სექტორებში.

ეკონომიკის მხარდაჭერის დამატებითი ღონისძიებები ითვალისწინებს კომუნალური გადასახადების დაფინანსებას ზამთრის პერიოდში, სტუდენტთა სწავლის გადასახადის დაფინანსებასა და ბავშვების დახმარებას.

- დღევანდელი გადასახედიდან როგორ ჩანს, რამდენად შემცირდება ქვეყნის მშპ 2020 წელს?

- 2020 წელს მოსალოდნელია მშპ-ს 5%-იანი რეალური კლება. აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვანი გაჯანსაღების ტენდენციები ფიქსირდება.

წინასწარი შეფასებით, 2020 წლის აგვისტოში უარყოფითმა ეკონომიკურმა ზრდამ 5.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო იანვარ-აგვისტოს საშუალო ზრდა -5.6 პროცენტს გაუტოლდა, რაც დამატებული ღირებულების ზომიერ დანაკარგზე მიანიშნებს, სხვა ქვეყნებთან შედარებით. გლობალური პანდემიისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოსალოდნელი კლების მიუხედავად ამჟამად, რომ ეკონომიკური

კლების ტემპი არსებითად შემცირდა. აპრილში 16.6%-იანი კლების შემდეგ, მაისში ეკონომიკის 13.5%-ით შემცირება დაფიქსირდა, ივნისში - 7.7%-ით, ივლისში 5.5%-ით, ხოლო აგვისტოში 5.3%-ით, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ ცალკეულ სექტორებში შენარჩუნებული (მაგალითად ტურიზმის სექტორში) მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად ეკონომიკაში საერთო ჯამში დინამიკის გაუმჯობესების ტენდენცია შეინიშნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ აგვისტოში მთელ რიგ სექტორებში, სადაც რეალური კლება ფიქსირდება, ასევე, შეინიშნება მნიშვნელოვანი გაჯანსაღება, მათ შორისაა: მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურებები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მინოდების საქმიანობები. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ წინა თვეში უმრავლეს სექტორებში უკვე გამოვლინდა მნიშვნელოვანი გაჯანსაღების ტენდენციები.

კოვიდ 19-ის პანდემიის მიუხედავად, ივლისსა და აგვისტოში ადგილობრივი ექსპორტის შესაბამისად 5.9 და 14.9 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. ამასთან, აგვისტოში მნიშვნელოვნად შემცირდა მთლიანი ექსპორტის კლების ტემპი და -7.5% შეადგინა. იანვარ-აგვისტოში სავაჭრო დეფიციტი





689 მლნ. აშშ. დოლარით გაუმჯობესდა და 2,880.0 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2020 წლის აგვისტოში კიდევ უფრო გაძლიერდა პოზიტიური ტენდენციები ფულადი გზავნილების მიმართულებით (ივლისში ზრდამ 22.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო გაჯანსაღების ტენდენცია მაისიდან დაიწყო). აგვისტოში ფულადი გზავნილების მოცულობა წინა წლის აგვისტოსთან შედარებით 25.8 პროცენტით გაიზარდა და 184.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ კუმულატიურად მიმდინარე წელს ფულადი გზავნილების ზრდა ფიქსირდება. 2020 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით ფულადი გზავნილები 3.2 პროცენტით გაიზარდა და 1,141.9 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა.

კრიზისის წარმატებული მართვის ფონზე 2020 წლის აგვისტოში Fitch-მა და S&P-მა უცვლელი დატოვეს ჩვენი ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი და პერსპექტივა. იმ ფონზე, როცა აპრილის შემდგომ სარეიტინგო კომპანიებმა გააუარესეს მრავალი ქვეყნის რეიტინგი და პერსპექტივა, საქართველოს რეიტინგის და პერსპექტივის უცვლელად შენარჩუნება ნამდვილად მიაჩნდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ ნდობაზე.

სარეიტინგო კომპანიები მიიჩნევენ, რომ მთავრობა შეინარჩუნებს მზაობას ფისკალური კონსოლიდაციის მიმართ, რაც მხარდაჭერილია სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამით და საქართველოს სტრუქტურული მახასიათებლები არის საკმაოდ ხელსაყრელი. ამრიგად, საიმედო და თანმიმდევრული პოლიტიკის ჩარჩო, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და მმართველობის მაღალი ხარისხი წარმოადგენს სარეიტინგო კომპანიების პოზიტიური შეფასების ძირითად საფუძველს.

- თითქმის ყველა მიმართულებას შეეხო კორონა ვირუსით გამოწვეული შეფერხებები, მაგრამ ყველაზე მეტად ტურისტული ბიზნესი დაზარალდა, ალბათ. რა გააკეთა ეკონომიკის სამინისტრომ და მთავრობამ ტურიზმის ბიზნესის მხარდასაჭერად?

- ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის საწყის ეტაპზე განხორციელდა ყველაზე მეტად დაზარალებული და მონყვლადი ეკონომიკის სექტორებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მხარდაჭერა და ოპერატიულად გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ყველაზე მეტად დაზარალებული - ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის საწყის ეტაპზე, კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობებს, სახელმწიფომ მისცა შესაძლებლობა მარტივ-ივნისის პერიოდში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი და ქონების გადასახადი გადაევადებინათ 1 ნოემბრამდე, რითაც მათ გამოუთავისუფლდათ დაახლოებით 100

მლნ ლარის რესურსი.

შემდგომ ეტაპზე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ტურიზმის სექტორის მიზნობრივი მხარდაჭერის გეგმა, რაც ითვალისწინებს 2020 წელს ტურიზმის სექტორის სრულ გათავისუფლებას ქონების გადასახადისაგან და ცხრა თვის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადის გადავადებას.

ასევე, მთავრობა თვის განმავლობაში ახორციელებს სესხის პროცენტის 80%-ის სუბსიდირებას 20 მილიონზე ნაკლები ბრუნვის მქონე სასტუმროებისთვის, რაც წარმოადგენს ქართული სასტუმრო ინდუსტრიის უდიდეს ნაწილს.

რესტორნები ჩართულნი არიან საკრედიტო საგარანტიო სქემაში, რითიც მათ საშუალება მიეცემათ მოაგვარონ ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემები და დააფინანსონ ოპერაციული ხარჯები. ტურისტული კომპანიებისთვის/ტურ-ოპერატორებისთვის მთავრობა ასევე მოახდენს საბანკო გარანტიის პროცენტის სუბსიდირებას 6 თვის განმავლობაში.

ამასთან, მთავრობა განახორციელებს სპეციალურ აქტივობებს გიდებისა და სხვა პროფესიული ტურისტული სერვისების სწრაფი აღდგენის უზრუნველსაყოფად. საქართველოს მთავრობა ასევე მოახდენს ტურისტულ გამოფენებზე თანამონაწილეობის თანხების სუბსიდირებას.

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი ტურისტული პროდუქტების განვითარებას, რომლებზეც შესაძლოა მაღალი მოთხოვნა გაჩნდეს კრიზისის შემდგომ პერიოდში. მაგალითად, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სამედიცინო ტურიზმი, ღვინის, აგრო და ეკო-ტურიზმი და ა.შ. აღნიშნული წარმოადგენს ჩვენს კონკურენტულ უპირატესობას და გვაძლევს შესაძლებლობას სწრაფად ვუპასუხოთ გამოწვევებს და მოვახდინოთ თანამედროვე ტენდენციებთან ადაპტაცია.

- რა დაგვანახა კორონამ ისეთი, რომელსაც მანამდე შეიძლება სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ხელისუფლება? თუ გამოიკვეთა ასეთი რამე? თუნდაც შიდა სურსათის პოტენციალის უფრო მეტად რეალიზება.

- კორონავირუსმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ეკონომიკური პოლიტიკის იმ მიმართულებების და ღონისძიებების საჭიროება, რასაც საქართველო აქტიურად ახორციელებდა ბოლო პერიოდში. აღნიშნული პირველ რიგში ეხება ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ამ მიმართულებით სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფას შესაბამისი პროგრამების მეშვეობით, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე და საშუალო



ბიზნესის მხარდაჭერა სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიულ სექტორში.

- მიმდინარე წელს როგორი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები?

- გლობალური პანდემიის და კორონავირუსის გავრცელებით განპირობებული გამოწვევების მიუხედავად, 2020 წლის მეორე კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დაფიქსირდა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ინვესტიციების ანალოგიური მოცულობის შენარჩუნება და მცირედით ზრდაც კი ნათლად მიანიშნებს საქართველოს ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობასა და ინვესტორთა ნდობასა და პოზიტიურ განწყობაზე ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ.

2020 წლის მეორე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 237.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.5 პროცენტით მეტია 2019 წლის მეორე კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ძირითადად რეინვესტირების მოცულობის ზრდით იყო განპირობებული. რეინვესტირების მოცულობა 2020 წლის მეორე კვარტალში 63.5 პროცენტით გაიზარდა და 144.7 მლნ. აშშ. დოლარი, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 60.8 პროცენტი შეადგინა (ანალოგიური მაჩვენებელი 2019 წლის მეორე კვარტალში 37.4 პროცენტი იყო). რეინვესტირების მოცულობის ზრდა მკაფიოდ მიანიშნებს, რომ ინვესტორებს აქვთ ნდობა და პოზიტიური განწყობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის და ეკონომიკის მხარდაჭერი ანტიკრიზისული და პოსტ-კრიზისული ღონისძიებების მიმართ.

2020 წლის იანვარ-ივნისში რეინვესტირების მოცულობა 31.4%-ით გაიზარდა და 278.4 მლნ. აშშ. დოლარი, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 68.0% შეადგინა.

- ზოგადად, კორონა ვირუსთან დაკავშირებით შეცვლილი გეგმის გარდა სხვა მიმართულებით რა სიახლეებია ეკონომიკის სამინისტროში? ვთქვათ, ეკონომიკური პოლიტიკის, სტრატეგიის კუთხით.

- პოსტ-კრიზისულ პერიოდში და პანდემიის შემდგომ განსაკუთრებით დინამიურ გარემოში მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ სწორად შეაფასოს საკუთარი პოტენციალი, მასზე დაყრდნობით განსაზღვროს რეგიონული და საერთაშორისო ეკონომიკური როლი, ეკონომიკური პოლიტიკის

მიმართულებები გრძელვადიან პერიოდში და ეკონომიკური განვითარების ყველაზე ეფექტიანი გზა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის პოტენციალის და კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციისა და ასევე, არჩეული კურსისკენ სვლის პროცესში მიღებული შედეგების ინკლუზიურობას.

საქართველოს მთავრობა აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს მაღალი დამატებული ღირებულების მქონე და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობების განვითარებაზე, ხარისხობრივი ინვესტიციების მოზიდვაზე, ადამიანისუფლებების განვითარებასა და პროდუქტიულობის ზრდაზე, ქვეყნის შეფარდებითი უპირატესობების გამოყენებაზე, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად არსებული შესაძლებლობების ინტერნალიზაციასა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის, საგარეო მონყვალდობის შემცირების და ეკონომიკური მდგრადობის თვალსაზრისით მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის შენარჩუნებაზე. აღნიშნული მიდგომა/პრიორიტეტები არის გამოყენებული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებსა და ქვეყნის ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიაშიც.

ამასთან, საქართველოს მთავრობა დელოიდის და კემბრიჯის უნივერსიტეტის მონვეულ ექსპერტებთან ერთად მუშაობს პოსტ-კრიზისული ეკონომიკური განვითარების მიმართულებების დოკუმენტზე, რომელიც იქნება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საფუძველი.

ეფექტიანი ანტიკრიზისული და პოსტკრიზისული ღონისძიებების შედეგად საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების პროცესის აქტიურ მხარდაჭერას, ეკონომიკის სტრუქტურულ გაუმჯობესებას, ქვეყნის ეკონომიკური ფუნქციების დივერსიფიკაციასა და შრომის ბაზრის გაჯანსაღებასა და სოციალური გამოწვევების შემცირებას.

- დიდი მადლობა ქალბატონო ნათია, ამდენი დრო რომ დაგვითმეთ კითხვებზე საპასუხოდ, წარმატებებს გისურვებთ.

- თქვენც მადლობა და წარმატებებს გისურვებთ.

ინტერვიუ ჩაინერა
ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა
ლოიდ ქარჩავამ